# რედკაფეს ტერასის კორექტირება

# განმარტებითი ბარათი

რედკაფეს ტერასის საპროექტო უბანი მდებარეობს ვაჟა ფშაველას გამზირის #71-ში (ს.კ.: 01.14.03.001.015) არსებული BCV-ს კომპლექსის ტერიტორიაზე.

რედკაფეს წინ არსებული ტერასა ორ დონეზეა განთავსებული, გაყოფილია კიბითა და მოაჯირიანი ბორდიურით. პროექტით გათვალისწინებულია კიბისა და ბორდიურის დემონტაჟი და ტერასის ქვედა ნიშნულზე არსებული მონაკვეთის ზედა ნიშნულამდე აწევა. არსებული ტერასის მიმდებარე პანდუსის მონაკვეთის ქანობი შეიცვალა 8%-მდე.

ტერასის მონაკვეთის ნიშნულის და პანდუსის ქანობის ცვლილების შედეგად მიმდებარე კედლების სიმაღლე გაიზარდა ცვალებადი ზომით (იხ. ჭრილი).

ტერასის ფარგლებში მოქცეულია ორი საკომუნიკაციო ჭა. გათვალისწინებულია მხოლოდ ჭების სახურავების აწევა საპროექტო ტერასის ნიშნულამდე (~40 სმ-ით), რაც არ იწვევს არსებულ ქსელებთან შეხებას და შესაბამისად ქსელების რაიმე ცვლილებას.

ტერასის და პანდუსის საპროექტო სიბრტყეებზე დაიგება არსებული მოსაპირკეთებელი ფილების ანალოგიური ფილები; მოეწყობა არსებული ლითონის მოაჯირის ანალოგიური მოაჯირი.

# BCV-ის სიტუაციური გეგმის ფრაგმენტი
## არსებული სიტუაცია




N

1:350

# BCV-ის სიტუაციური გეგმის ფრაგმენტი
# საპროექტო




N

1:350

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.14.03.001.015*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:*892012061017*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *10352* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 23.10.12




01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.


საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

კრების ოქმი

ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობა“

(მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71)

ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობა“-ს კრება შედგა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71-ში, 2021 წლის 05 ოქტომბერს;

ამხანაგობის კრებას ესწრებოდა: ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის 100%.
ამხანაგობის კრებას თავმჯდომარეობდა: გიორგი ხარებაშვილი (პ/ნ: 01029011433).
ამხანაგობის კრებაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

ა) ამხანაგობის კრებამ იმსჯელა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71-ში მდებარე, შპს „რედ კაფე“-ს (ს/ნ: 404875328) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.14.03.001.015), შპს „რედ კაფე“-ს (ს/ნ: 404875328) მიერ ტერასის მოწყობასა და ადმინისტრაციული ორგანოებისგან ნებართვის მოპოვების საკითხზე;

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა: დამსწრეთა (ამხანაგობის წევრთა) 100%-ის მიერ, ერთხმად.

ამხანაგობის კრებამ გადაწყვიტა:

ა) თანხმობა მიეცეს შპს „რედ კაფე“-ს (ს/ნ: 404875328), რათა უზრუნველყოს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით: 01.14.03.001.015) ტერასის მოწყობა თანდართული ფოტომონტაჟის შესაბამისად და ამ მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისგან ნებართვის მოპოვება.

წინამდებარე კრების ოქმს თან ერთვის ტერასის ფოტომონტაჟი.

წინამდებარე კრების ოქმს ამხანაგობის სახელით ხელს აწერს
ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობის“
კრების თავმჯდომარე

გიორგი ხარებაშვილი




არსებული მოაჯირის ანალოგიური
ლითონის მოაჯირი
შეღებილი ნაცრისფრად
არსებული ფილების ანალოგიური
მოსაპირკეთებელი ფილები

# მოსაწყობი ტერასის ფოტომონტაჟი 2



| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N220030414 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 13.01.2022 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **ზაალ ზაქარაშვილი** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 595 07 52 44 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 13791213265822 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ჩემს, ნოტარიუს ზაალი ზაქარაშვილის მიერ ჩემს სანოტარო ბიუროში რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N 47-ში, დამოწმებული იქნა სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირ(ებ)ის

**გიორგი ხარებაშვილის** (დაბადებული: 01.08.1981წ დაბადების ადგილი- საქართველო, თბილისიმცხოვრები: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა, N 5ა-ში** პ/ნ 01029011433),

ხელმოწერის ნამდვილობა მის /მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე.

წარმოდგენილი დოკუმენტი: კრების ოქმი

ზემოაღნიშნული პირ(ებ)ის პირადობა დადგენილ იქნა მათ/მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდგენი დუკუმენტ(ებ)ით. ასევე ჩემს მიერ შემოწმებულ და დადგენილ იქნა მათი/მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია.
შემდეგ მე განვუმარტე მხარე(ებ)ს, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორეს, ნოტარიუსი ადასტურებს, რომ აღნიშნული ხელმოწერა/ხელმოწერები ნამდვილად ეკუთვნის წარმოდგენილ პიროვნებას/პიროვნებებს. შემდეგ მათ/მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა/მოაწერეს ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

გადახდილია საზღაური 2,00 ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა, აგრეთვე დღგ 0,36 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად) და ორი ლარი დღგ–ს ჩათვლით თანახმად 39 მუხლისა.სულ გადახდილია 4,36 ლარი

ნოტარიუსი: ზაალი ზაქარაშვილი




შეკრულია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი: